

ტრენინგი სმენადაქვეითებულთათვის თემაზე „ტურისტული სააგენტოს მართვა“

02.12.2019 - 06.12.2019

ტრენინგის შესახებ

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზებით ბათუმში განხორციელდა ტრენინგი სმენადაქვეითებულთათვის თემაზე „ტურისტული სააგენტოს მართვა“. ტრენინგი მოიცავდა ტურისტული სააგენტო მართვის სპეციალურად შემუშავებულ კურსს სმენადაქვეითებული მსმენელებისათვის, რომლებიც შესაბამისი პროფილის ტურისტული სააგენტოების მმართველ რგოლში იყვნენ ჩართულები.

ტრენინგის ფარგლებში განხილული იქნა სტანდარტული თემები რაც ტურისტული სააგენტო მართვის კურს ახასიათებს, თუმცა იმის გათვალისწინებით რომ შშმ პირები (სმენადაქვეითებულები) წარმოადგენდნენ დამსწრე აუდიტორიას, ტრენინგებს ეხმარებოდნენ სურდო თარჯიმნები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ორმხრივ კომუნიკაციას ტრენინგის მიმდინარეობისას. ტრენინგს ესწრებოდა 20 მსმენელი, რომლებიც აჭარის თემატიკაზე მომუშავე შესაბამისი პროფილის ტურისტულ სააგენტოებს წარმოადგენდნენ.

ტრენინგებზე განხილული იქნა შემდეგი თემები:

- ტურის დაგეგმვა და ორგანიზება;
- ტურის პროგრამის მომზადების ეტაპები;
- ტურპაკეტის შედგენა და ბიუჯეტის გამოთვლა;
- ტურისტული მარშრუტის აღწერა-შედგენა, დროში გაწერა და მართვა;
- ტურისტებთან ურთიერთობა და კონფლიქტური სიტუაციების დარეგულირება;
- ტურის მსვლელობისას შესაძლო ხარვეზების რისკების განხილვა და მათი მოგვარების მეთოდები;
- ინფორმაციის წყაროებთან მუშაობა;
- საერთაშორისო ტურისტული ტერმინოლოგია და მენეჯმენტის საერთაშორისო პრინციპები და ფუნქციები;
- რისკების და კონტრაქტების მართვა;
- დროის, სტრესისა და კონფლიქტების მართვა;

შინაარსი

პროგრამა